

ხაშურის მუნიციპალიტეტის წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) - მიხეილ ჯანაშვილი

თანამდებობის დასახელება -საკრებულოს თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - პროპორციული, N35 საარჩევნო ოლქი.

საანგარიშო პერიოდი -2017 წლის 20 . XI- დან 2018 წლის 31.XI -მდე.

ანგარიშის ტიპი - რიგითი.

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - საანგარიშო პერიოდში, 2017 წლის 20 ნოემბრიდან 31 ოქტომბრამდე, ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა საკრებულოს 11 მორიგი, 6 რიგგარეშე და 11 გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სხდომა.

სხდომებზე დასწრება -28

2. საანგარიშო პერიოდში მიღებულია 100 დადგენილება, 143 განკარგულება, 123 ბრძანება.

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 8

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 8

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ჩემ მიერ იქნა ინიცირებული ცვლილებები „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N22 დადგენილებაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე ინიცირებულ იქნა

განკარგულება, რომელიც ისტორიული სოფელ აზარმის აღორძინებისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

4. ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა 4 დადგენილება და 1 განკარგულება.

5. საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხებიდან გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა:

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, და ავტომანქანების პარკირების წესის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მიმდინარე წლის სექტემბერში დამტკიცდა სააღმზრდელო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის (ძირითადად აღმზრდელებისა და მათი თანამშრომლების) პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ერთიანი სტრატეგია, რომელიც მოიცავს უწყვეტი განათლებისთვის საჭირო ქმედებათა ერთობლიობას, პერსონალის სამსახურებრივ ინსტრუქციებს, პროფესიულ სტანდარტებს.

თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის მერიას რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაზე, მათ შორის, სოფელ ოსიაურის, ქვიშხეთის, სურამის გზების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვაზე, ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციისათვის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდიდან სესხის აღების თაობაზე.

თანხმობა გაიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N 2 საჯარო სკოლისათვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოძისის საჯარო სკოლისათვის ვაჟა-ფშაველას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარის საჯარო სკოლის სახელის მინიჭების შესახებ.

ხაშურში, სანაპიროს ქუჩის მონაკვეთს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მამუკა სულაბერიძის სახელი მიენიჭა.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 100 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა -1500
მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას, მუდმივად ვხვდები მოქალაქეებს განსაზღვრულ დღეებში, როგორც ორგანიზებული მიღების ფორმით, ისე ყოველდღიურად. პირადად ვაცნობ მოსახლეობას ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული საქმიანობისა და დაგეგმილი პროექტების შესახებ. აგრეთვე ვისმენ მათ პრობლემებს და წინადადებებს. არ ვტოვებ რეაგირების გარეშე ნებისმიერ საკითხს, რომელიც მოსახლეობას აწუხებს. ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ეტაპობრივად ვაგვარებთ მათ.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა.

- როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ვმონაწილეობ შიდა ქართლის სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომებში, სადაც განვიხილავთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე საკითხებს და საჭიროებებს.
- მოგახსენებთ, რომ საკრებულოში შექმნილია სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო, გენდერული დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენის, მათი აღმოფხვრისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების კოორდინაციის მიზნით. როგორც აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარეს, ჩატარებული მაქვს საბჭოს 3 სხდომა. შემუშავებულია 2018 წლის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა.
- დადგენილი წესით გამართულ საჯარო შეხვედრებზე მოვისმინე საკრებულოს 27 წევრის წლიური ანგარიში.
- საკრებულოში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების მიზნით, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრისათვის განხორციელდა მოხელეთა კომპეტენციების შუალედური შეფასების ჩატარება. საბოლოო შეფასების ჩატარება გათვალისწინებულია დეკემბრის თვეში.
- საკრებულოს თანამდებობის პირებთან ერთად მონაწილეობას ვღებულობდი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ორგანიზებულ ტრენინგებში. პროექტის - „ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება“- მიზანია ეფექტიანი და გამჭვირვალე მართვის დანერგვა თვითმმართველობებში.
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობ ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების დაგეგმვასა და აღნიშვნაში.

შევსების თარიღი - 30.11.2018

წარდგენის თარიღი - 31.11.2018

ხელის მოწერა

